ВТОРОЙ ВСЕСОЮЗНЫЙ ФЕСТИВАЛЬ СПОРТИВНЫХ ФИЛЬМОВ

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 245 (3729)

1968 წ. 17 დეკემბერი, სამშაბათი. ფასი 2 კაპ.

საქ. სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გამოცემის 25-ე წელი.

აი, პროგრამა:

18 დეკემბერი

I სეანსი

(დასაწყისი 10 ს.)

1. კინოჟურნალი „საბჭოთა ურალი" № 22/68 (სვერდლოვსკის სტუდია).
2. კინოჟურნალი „სპორტული მიმოხილვა" № 2/67 (რიგის სტუდია).
3. „ტრინტა" („მოლდოვაფილმი").
4. „სამი კაპიტანი" (დოკუმენტური ფილმების ცენტრალური სტუდია).
5. „როდესაც აფრები მღერიან" („უკრხრონიკა").
6. „ცაში მხოლოდ ქალიშვილებია" („მოსფილმი").

II სეანსი

(დასაწყისი 12 ს.)

1. კინოჟურნალი „ჩრდილოეთ კავკასია" № 3/67 (ჩრდილოეთ კავკასიის სტუდია).
2. კინოჟურნალი „სპორტული მიმოხილვა" № 3/68 (რიგის სტუდია).
3. „სამბო" („ცენტრნაუჩფილმი").
4. „პახტაკორი" („უზბეკხრონიკა").
5. „ფიქრები სტარტის წინ" (დოკუმენტური ფილმების ცენტრალური სტუდია).
6. „ესტაფეტა" („მოლდოვაფილმი").

III სეანსი

(დასაწყისი 13 ს., 30 წ.)

1. კინოჟურნალი „ციმბირი ეკრანზე" № 27/67 (ნოვოსიბირსკის სტუდია).
2. კინოჟურნალი „ქვემო ვოლგისპირეთი" № 26/67 (ნიჟნევოლჟსკის სტუდია).
3. „გზა ჯანმრთელობისა და სილამაზისკენ" („ცენტრნაუჩფილმი").
4. ბრინჯაოს „ნეფტიანიკი" („აზერბაიჯანფილმი").
5. „გემები უკაპიტნებოდ" („ლენნაუჩფილმი").

19 დეკემბერი

I სეანსი

(დასაწყისი 10 ს.)

1. კინოჟურნალი „საბჭოთა სპორტი" № 5/68 (დოკუმენტური ფილმების ცენტრალური სტუდია).
2. კინოჟურნალი „ჩვენი მხარე" № 21-22/68 („ლენხრონიკა").
3. „ტანმოვარჯიშეთა მოძრაობის კულტურის ჩამოყალიბება" („კიევნაუჩფილმი").
4. „ცხრა წუთი" („ბელარუსფილმი").
5. „აი, ფინალიც!" („ლენხრონიკა").

II სეანსი

(დასაწყისი 13 ს., 30 წ.)

1. კინოჟურნალი „დონსა და ყუბანში" № 4 (დონის როსტოვის სტუდია).
2. „ბრასი" („კიევნაუჩფილმი").
3. „სტარტის ფურცლები" (დოკუმენტური ფილმების ცენტრალური სტუდია).

ფესტივალის დახურვა

(18 საათზე)

ფესტივალმა სტარტი აიღო

გუშინწინ თბილისის კინოთეატრი „რუსთაველი" საზეიმოდ იყო მორთული. აქ გაიხსნა სპორტული ფილმების II საკავშირო კინოფესტივალი, რომელშიც სსრ კავშირის 26 კინოსტუდია მონაწილეობს.

კინოფორუმის მონაწილეებს მიესალმა ფესტივალის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ვ. სირაძე. მან დამსწრე საზოგადოებას გააცნო ფესტივალის მონაწილენი და ილაპარაკა ამ თავისებური კინოჩემპიონატის მნიშვნელობაზე.

ფესტივალის მონაწილეთ მიესალმა საქართველოს სსრ კინემატოგრაფიის კომიტეტის თავმჯდომარე შ. სალარიძე.

მიკროფონთანაა საქართველოს ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარე გ. სიხარულიძე. იგი იმედს გამოთქვამს, რომ ფესტივალი ხელს შეუწყობს კინემატოგრაფისტთა და სპორტსმენთა კიდევ უფრო დამეგობრებას, რაც სპორტულ თემაზე ახალი მაღალმხატვრული ფილმების შექმნის საწინდარი იქნება.

შემდეგ სიტყვა ეძლევა სსრ კავშირის სპორტული კინოსა და ტელევიზიის ფედერაციის თავმჯდომარეს, ფესტივალის ჟიურის თავმჯდომარეს, საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტს ბ. ჩირკოვს.

დარბაზში გაისმის სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ სახელმწიფო ჰიმნები: სახელოვანი ქართველი სპორტსმენები — ოლიმპიური ჩემპიონი რ. რურუა და სსრ კავშირის ჩემპიონი ნ. ალექსანდრია, აგრეთვე, სპორტული ფილმების წინა საკავშირო ფესტივალში გამარჯვებული რეჟისორი თ. ზოლოევი დროშას აღმართავენ.

ფესტივალი გაიხსნა.

შემდეგ დაიწყო საკონკურსო ფილმების ჩვენება.

* * *

ს უ რ ა თ ზ ე: ფესტივალის საზეიმო გახსნის მონაწილენი — ჩვენი რესპუბლიკის სახელმოხვეჭილი სპორტსმენები (მარცხნიდან) — ა. შჩერბინა, შ. ლომიძე, შ. ქველიაშვილი, ა. კიკნაძე, გ. სალარაძე, დ. გვანცელაძე, რ. ჩიმიშკიანი, ზ. ბერიაშვილი, შ. ნოზაძე.

ფოტო ა. კოტორაშვილისა.

[illegible]

● მოსკოვი, 15 დეკემბერი. აქ დამთავრდა ტრადიციული საერთაშორისო შეჯიბრება ფიგურულ ციგურაობაში. დიდ წარმატებას მიაღწიეს მასპინძლებმა, რომლებმაც 4 პრიზიდან 3 მოიხვეჭეს. ქალებში ბადალი არ ჰყავდა 18 წლის მოსკოველ მოსწავლეს, სსრ კავშირის ექს-ჩემპიონს ე. შჩეგლოვას — 1285,1 ქულა (ადგილების ჯამი — 5). საბჭოთა ქვეყნის ახლანდელმა ჩემპიონმა, მოსკოველმა გ. გრუიზოვსკაიამ II ადგილი დაიკავა (1209,6 ქულა, ადგილების ჯამი — 10). III ადგილზეა 18 წლის ს. მორგენშტერნი (გდრ) — 1172,1 ქულა, ადგილების ჯამი — 16. ვაჟებში უძლიერესი იყო მოსკოველი ს. ჩეტვერუხინი. წყვილთა სრიალში გამარჯვეს ლენინგრადელებმა თ. მოსკვინამ და ა. მიშინმა — 229,5 ქულა, ადგილების ჯამი — 5. II ადგილი დაისაკუთრეს მოსკოველებმა ი. როდნინამ და ა. ულანოვმა — 220,8 ქულა, ადგილების ჯამი — 13. III ადგილზე არიან მათი თანაქალაქელები გ. კარელინა და გ. პროსკურინი — 217,3 ქულა, ადგილების ჯამი — 18. ცეკვებში უძლიერესნი იყვნენ გდრის წარმომადგენლები ა. ბაიერი და ე. რიუგერი.

● კიროვო-ჩეპეცკი, 15 დეკემბერი. კიროვის ოლქის ამ რაიონში დიდი ინტერესი გამოიწვია მოთხილამურეთა შეჯიბრებამ „როსიის" პრიზებზე, რომლებიც ნოვოვიატსკის სათხილამურო კომბინატმა დააწესა. შეჯიბრებაში წარმატებით გამოვიდნენ გ. კულაკოვა (კემეროვო) და ბ. გიზატულინი (უფა). კულაკოვამ პირველ დღეს მოიგო 5-კილომეტრიანი რბოლა — 18.51, მეორე დღეს კი ყველას აჯობა 8-კილომეტრიან დისტანციაზე — 33.15. გიზატულინმა ჯერ 15-კილომეტრიან რბოლაში გაიმარჯვა (52.48), შემდეგ კი — 20-კილომეტრიანში — 1:16.15.

● ნოვოსიბირსკი, 15 დეკემბერი. ნოვოსიბირსკის, ომსკის, ტომსკის, ბარნაულის, ნოვოკუზნეცკისა და სემიპალატინსკის 200-მდე მოთხილამურე გამოვიდა ფინეთის პრეზიდენტის უ. კეკონენის თასზე გამართული ტრადიციული შეჯიბრების სტარტზე. ეს საინტერესო სპორტული ნადავლი მეშვიდედ გათამაშდა და ამჯერად მას დინამოელთა ნაკრები დაეპატრონა. ციმბირელებს ეს პრიზი ნოვოსიბირსკში კეკონენის სტუმრობის აღსანიშნავად გამოუგზავნეს. განსაკუთრებით მძაფრად ჩატარდა რბოლა 15 კილომეტრზე, რომელშიც 152 მოთხილამურე მონაწილეობდა. გაიმარჯვა 34 წლის ადგილობრივმა ვეტერანმა გ. სმირნოვმა — 45.36. 5-კილომეტრიანი რბოლა მოიგო 22 წლის რ. პატრინამ (ნოვოსიბირსკი) — 20.10. II და III ადგილები დაისაკუთრეს ტყუპმა დებმა ზ. და კ. დუნაევებმა. 20-კილომეტრიან რბოლაში საუკეთესო იყო ნოვოსიბირსკელი ვ. კოჩკინი. მისი შედეგია 1 საათი და 41 წუთი.

დღეს

საქართველოს პროფსაბჭოს სხდომათა დარბაზში (გრიბოედოვის ქ. № 19) გაიმართება „განთიადის" ცენტრალური საბჭოს VI კონფერენცია.

დასაწყისი 12 ს.

დელეგატების რეგისტრაცია იწარმოებს „განთიადის" ცენტრალურ საბჭოში (პლეხანოვის პრ. № 95) 10 საათიდან.

„განთიადის" ცენტრალური საბჭო.

ხვალ

საქართველოს პროფსაბჭოს სხდომათა დარბაზში გაიმართება „სპარტაკის" რესპუბლიკური საბჭოს V კონფერენცია.

დასაწყისი 12 ს.

დელეგატების რეგისტრაცია იწარმოებს იქვე 10 საათიდან.

„სპარტაკის" რესპუბლიკური საბჭო.

◆ პარიზი, 16 დეკემბერი. მეხიკოს XIX ოლიმპიადის ჩემპიონმა, საბჭოთა მძლეოსანმა ვ. სანეევმა ფრანს პრესის სააგენტოს სპორტული რედაქციის მიერ 1968 წლის შედეგების მიხედვით შედგენილ მსოფლიოს საუკეთესო სპორტსმენ ვაჟთა ათეულში IV ადგილი დაიკავა. სიას სათავეში ერთბაშად ორი ოლიმპიური ჩემპიონი უდგას — ამერიკელი მძლეოსანი რობერტ ბიმონი და ფრანგი სამთომოთხილამურე ჟან-კლოდ კილი. ევროპის საუკეთესო სპორტსმენთა კლასიფიკაციაში სოხუმელ ათლეტ სანეევს კილის შემდეგ II ადგილი უჭირავს. რიგელი შუბის მტყორცნელი ი. ლუსისი აქ VIII ადგილზეა. ფრანს პრესის მსოფლიოს სპორტსმენ ქალთა კლასიფიკაციაში სოციალისტური ქვეყნების 8



წარმომადგენელია: ჩეხოსლოვაკიელი ტანმოვარჯიშე ვ. ჩასლავსკა, პოლონელი მძლეოსანი ი. შევინსკა და ბირთვის მკვრელი მ. გუმელი (გდრ). ევროპის საუკეთესო სპორტსმენი ქალების სიას, ფრანს პრესის აზრით, სათავეში უდგას შვედი მოთხილამურე ტ. გუსტაფსონი. სოციალისტური ქვეყნების წარმომადგენლებმა ამ სიაში 6 ადგილი დაიკავეს. მათ შორისაა ლენინგრადელი ტანმოვარჯიშე ნ. კუჩინსკაია.

◆ კურიტიბა, 16 დეკემბერი. ბრაზილიის ამ ქალაქში მოასპარეზე ბულგარელ ფეხბურთელთა ნაკრებმა ვერ შეინარჩუნა პირველ ტაიმში მოპოვებული წარმატება (3:1) და ფრედ დაამთავრა შეხვედრა ადგილობრივ „ატლეტიკოსთან" — 4:4.

◆ ლენინგრადი, 16 დეკემბერი. აქ დაიწყო სსრ კავშირის თასის გათამაშება კრივში. შეჯიბრებაში ჩაება საბჭოთა არმიის, „შრომითი რეზერვების", „დინამოსა" და პროფკავშირების 44 ოსტატი, რომლებმაც წარმატებით განვლეს დონეცკსა და თბილისში გამართული ნახევარფინალური ბრძოლები. ტურნირის პროლოგად მოგვევლინა უაღრესად დაძაბული ბრძოლა ამ საპატიო პრიზის მფლობელს — არმიელებსა და თასის ერთ-ერთ მთავარ პრეტენდენტს — „შრომით რეზერვებს" შორის. გაიმარჯვეს შეიარაღებული ძალების წარმომადგენლებმა — 6:5. შეჯიბრება 20 დეკემბრამდე გასტანს.

სსრ კავშირის ჩემპიონატი კალათბურთში

„განაჩენი“ სისრულეშია მოყვანილი

თბილისი. სპორტის სასახლე. 15 დეკემბერი.

„ბურევესტნიკი“ (თბილისი) — ვეფ (რიგა) 59:52 (33:26).

„ბურევესტნიკი“: კოვალენკო (16), ჩხიკვაძე (12), ლომაძე (10), ბიჭიაშვილი (8), მანაგაძე (8), გლურჯიძე (3), ლეჟავა (2), ჯუღელი.

ვეფ-ი: იურგენსონი (16), კაცენსი (14), უვიგუსი (8), მოროზოვი (8), ბოგდანოვიჩი (2), იაუნზემესი (2), ოსისი (2), რუძიკასი, ნაუჯუნისი.

მსაჯები: ხ. ხაჩატურიანი და ა. ნავასარდიანი (ორივე — ერევანი).



სურათზე: ბურევესტნიკელთა ახალგაზრდა გამთამაშებელი ლ. ჩხიკვაძე საკმაოდ ეფექტურად „ბომბავს“ კალათს. აი, იგი ახლაც ორქულიანია.

ფოტო ბ. გიგაურისა.

თავდაპირველად ორიოდე სიტყვა მეტოქეებზე.

ვეფ-ი წლეულს ის არაა, რაც შარშან. შეიცვალა შემადგენლობა, შეიცვალა თამაშის კლასი. ახალმა ხალხმა გუნდში ახალი სტილი მოიტანა, მაგრამ ვეფ-მა ამით ჯერჯერობით ვერაფერი მოიგო. ახლები, როგორც წესი, ახალგაზრდები არიან, ახალგაზრდებს კი, მოგეხსენებათ, ზოგჯერ ოსტატობა და გამოცდილება ღალატობს. შარშანდელი ახალბედები, ანუ ისინი, ვინც ვეფ-ის შემადგენლობაში მერვე-მეთორმეტე ნომრებად ირიცხებოდნენ, დღეს ძირითად ხუთეულში იბრძვიან. ახალგაზრდები ცდილობენ არაფერში ჩამორჩნენ ერთადერთ მოქმედ ვეტერანს იურგენსონს, ყოველმხრივ ჰბაძავენ მას, მხარში უდგანან ფ, თქვენ წარმოიდგინეთ, ნელ-ნელა როლშიც შედიან.

„ბურევესტნიკმა“ ოთხი გასვლითი მატჩი ჩაატარა და ვერც ერთი ვერ მოიგო (მისი მეტოქეები იყვნენ შარშანდელი ჩემპიონატის II და III პრიზიორები), თუმცა, სულ ცოტა, ჩვენს გუნდს ორჯერ შეეძლო ეზეიმა გამარჯვება (სხვა რომ არაფერი, ანგარიშებს გადახედეთ). ობიექტურ მიმომხილველთა აზრით, თბილისელების წლევანდელი თამაში კიდევ უფრო გამდიდრდა და დაიხვეწა. ფსიქოლოგიურად გუნდი მზადაა უმძიმესი გამოცდისთვის, ეს კი საკმაოდ მნიშვნელოვანი ფაქტია ჩემპიონატის მარათონულობის თვალსაზრისით.

ვეფ-ს გუშინწინდელ მატჩში ერთბაშად ორი ამოცანის გადაჭრა მოუხდა. საჭირო იყო: ჯერ ერთი, კოვალენკოს წინააღმდეგ რაიმე რადიკალური საშუალების გამონახვა და შემდეგ, ბურევესტნიკელთა ერთობ მოძრავი სნაიპერების უვნებელყოფა. „ორი კურდღლის“ დაჭერის ყველაზე ეფექტური საშუალება ზონური დაცვა გახლდათ და ლატვიელებმაც, ამ საქმის დიდოსტატებმა, ააგეს საოცრად მოქნილი „ზონა“. კოვალენკოს პერსონალური დარაჯის (იაუნზემესი) გარდა მიჩენილი ჰყავდა მეთვალყურე (კაცენსი), რომელიც აკონტროლებდა თბილისელთა ცენტრალური თავდამსხმელის მოქმედებას წინა ხაზზე. რაც შეეხება „ბურევესტნიკის“ სნაიპერებს, მათ წინ მუდამ ლატვიელთა ხელი იყო ზეიმართული.

ერთი სიტყვით, „ზონამ“ ამ მატჩში თავისი დადებითი როლი შეასრულა, მაგრამ მას სასწაულის მოხდენა, რა თქმა უნდა, არ შეეძლო. ვეფ-ი ჯერ კიდევ პირველ ნახევარში იყო განწირული ბრძოლის ლოგიკით, შესვენების შემდეგ კი ლატვიელთა ერთგვარი აქტიურობის მიუხედავად, „განაჩენი“, როგორც იტყვიან, სისრულეში იქნა მოყვანილი.

ნ. გუგუშვილი.

* * *

ჭეშმარიტ...

თბილისის სპორტის სასახლეში ჩატარდა ამ გუნდების მეორე მატჩი. გამარჯვება ამჯერადაც მასპინძლებს ხვდათ წილად — 66:64 (29:30).

თბილისის დინამოელებმა მოიგეს, კიევის არმიელებმა წააგეს

გაიმართა V ტურის შეხვედრები.

რიგა. ადგილობრივმა არმიელებმა პირველი მატჩი ჩაატარეს შინ. მათი მეტოქე იყო თბილისის „დინამო“. შეუპოვარი და დაძაბული ბრძოლა მოიგეს თბილისელებმა — 79:73.

მოსკოვი. საკავშირო ჩემპიონატის ყველაზე დიდი სენსაციის ავტორი გახდა მოსკოვის „დინამო“, რომელმაც გამანადგურებელი ანგარიშით (89:59) სძლია შარშანდელ ვერცხლის პრიზიორსა და წლევანდელ ლიდერს — კიევის ასკ-ს.

ლენინგრადი. „სპარტაკმა“ კიდევ 1 ქულა ჩაიწერა სატურნირო ცხრილში და ამით ხაზი გაუსვა თავის განზრახვას — გახდეს პრიზიორი. ლენინგრადელთა მორიგი მსხვერპლი იყო ჯარტუს „კალევი“ — 85:71.

კიევი. დრამატული ფინალით აღინიშნა ადგილობრივი „სტროიტელისა“ და კაუნასის „ყალგირისის“ ორთაბრძოლა. უკრაინელი კალათბურთელები მთელი 40 წუთის მანძილზე წინ იყვნენ, მაგრამ „ყალგირისმა“ ბოლო წუთზე გაათანაბრა ანგარიში — 59:59. ამ დღეს სტუმრებს „ბოლო წუთმა“ ერთხელ კიდევ გაუწია სამსახური. ეს მოხდა დამატებით დროში, როცა პაულაუსკასის ზუსტმა ხროლამ გამარჯვება მოუტანა კაუნასელებს — 66:65. სხვათა შორის, „ყალგირისის“ საუკეთესო თავდამსხმელი პაულაუსკასი ამ დღის ყველაზე შედეგიანი მოთამაშე აღმოჩნდა — 27 ქულა.

სხვადასხვა ღირებულებისა...

მოსკოვი, 16 დეკემბერი. მაგდებურგისა და მოსკოვის დინამოელი წყალბურთელები გავიდნენ ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშების ნახევარფინალში. გუშინ, სპარტაზობის დასკვნით დღეს, ბუქარესტის „დინამომ“ დაამარცხა მაგდებურგელი თანაკლუბელები (6:4), ხოლო მოსკოველებმა გაჭირვებით მოუგეს შეხვედრა ბარსელონის „ნატასიონ კლუბს“ — 3:2.

ამ გამარჯვებებს სხვადასხვა ღირებულება აქვს: გატანილი და მიღებული ბურთების უკეთესი სხვაობით (პლუს 3) სსრ კავშირის ჩემპიონებმა უფლება მოიპოვეს გაანგრძონ ბრძოლა თასისთვის, რუმინეთისა და ესპანეთის ჩემპიონები კი ტურნირის მიღმა დარჩნენ.

აქ გამართულ შეჯიბრებაში საუკეთესო შედეგებს მაგდებურგელებმა მიაღწიეს. გდრ-ის წყალბურთელებმა ისევე, როგორც მათმა მოსკოველმა და ბუქარესტელმა თანაკლუბელებმა, 4 ქულა მოაგროვეს, მაგრამ უკეთესი ბალანსი აქვთ — პლუს 4. გერმანელებმა დაამარცხეს მოსკოველები (2:1) და ესპანელები (10:5).

II ადგილზე გავიდნენ სსრ კავშირის ჩემპიონები, რომელთა აქტივშია 2 გამარჯვება — ესპანელებთან (3:2) და რუმინელებთან (6:3) მატჩებში.

თამაშების შემდეგ წყალბურთის ევროპული კომიტეტის წარმომადგენლის ა. ლამბაშის (იუგოსლავია) თავმჯდომარეობით გაიმართა ნახევარფინალური მატჩების მონაწილეთა წილისყრა, ორიენ პირველი შეხვედრა 21-22 დეკემბერს ჩატარდება იუგოსლავიის დედაქალაქში: მოსკოველები ეთამაშებიან ადგილობრივ „პარტიზანს“, ხოლო მაგდებურგელები — ზაგრების „მლადოსტს“. ამ გუნდების განმეორებითი შეხვედრები გაიმართება 1969 წლის 11 იანვარს.

* * *

სურათზე: მოსკოვისა და ბუქარესტის დინამოელთა მატჩის მომენტი. შეტევა სტუმართა კარზე.

ფოტო ვ. იაკობსონისა.



ერთიანული ფიზკულტურისა

თერჯოლა

„კოლმეურნის“ რაიონულმა საბჭომ ჩაატარა მოსწავლეთა პირველობა მაგიდის ჩოგბურთში. გუნდური I ადგილი მოიპოვა ჭოგნარის საშუალო სკოლამ. ჭაბუკებში პირადი პირველობა მოიგო დ. ბასილაძემ, გოგონებში — ნ. ლანჩავამ (ორივე — ჭოგნარის საშუალო სკოლა).

ვ. კუტალაძე.

გორი

საინტერესოდ ჩატარდა მოსწავლეთა რაიონული საშემოდგომო სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული შეჯიბრებები ფრენბურთში, კალათბურთში, მძლეოსნობასა და ჭადრაკში. ფრენბურთში პირველობა მოიპოვეს ატენის საშუალო სკოლის ჭაბუკებმა და გოგონებმა. კალათბურთელთა ასპარეზობაში ყველას აჯობეს ხიდისთავის საშუალო სკოლის ჭაბუკებმა და ხელთუბნის საშუალო სკოლის გოგონებმა. მძლეოსნობაში იმარჯვეს ატენის სკოლა-ინტერნატის აღსაზრდელებმა, ხოლო ჭადრაკში I-II ადგილები გაიყვეს მეჯვრისხევისა და ხელთუბნის საშუალო სკოლების მოსწავლეებმა. სპარტაკიადა ლენინის დაბადების 100 წლისთავს მიეძღვნა.

გ. მთვარელიძე,
რაიონის ბავშვთა სპორტსკოლის დირექტორი.

ზუგდიდი

მე-2 საშუალო სკოლაში (დირექტორი გ. ჩხოლარია) დიდი ყურადღება ექცევა სპორტული ბაზების კეთილმოწყობას. უკვე მოეწყო ფრენბურთის, კალათბურთისა და ხელბურთის მოედნები, ტანვარჯიშული ბაქანი. სასკოლო დარბაზი ახალი სპორტული ინვენტარით შეივსო.

ბ. ალშიბაია.

თელავი

სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმში გაიმართა შიდასაკოლექტივო გარდამავალი თასების გათამაშება კალათბურთსა და ფრენბურთში. კალათბურთში იმარჯვეს მექანიზაციის პროფილის I კურსის სტუდენტებმა, ფრენბურთში — მექანიზაციის პროფილის IV კურსის წარმომადგენლებმა.

მ. ახალაური,
ფიზიკურზრდის მასწავლებელი.

გულრიფში

დრანდის სკოლა-ინტერნატში ძალზე პოპულარულია ფიზკულტურა და სპორტი (ფიზიკურზრდის მასწავლებელი ვ. რაფავა). ნაყოფიერად მუშაობენ ფეხბურთის, კალათბურთის, ფრენბურთის, მაგიდის ჩოგბურთის, ჭადრაკისა და მძლეოსნობის სექციები. ინტერნატის აღსაზრდელებმა ამ ბოლო ხანს რამდენიმე ლაშქრობა ჩაატარეს.

შ. ჯალაღონია.

კასპი

დამთავრდა რაიონული სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული შეჯიბრებები სროლასა და ფრენბურთში. სროლაში პირველობა მოიპოვა კასპის ცემენტის ქარხნის გუნდმა, ფრენბურთში ყველას აჯობეს ყარაღაჯის კოლმეურნეობის წარმომადგენლებმა.

ლ. ელისაბედაშვილი.

გურჯაანი

აქ გაიმართა რაიონის მოსწავლეთა პირველობა მაგიდის ჩოგბურთში. ჭაბუკებში I ადგილი დაიკავა ჩუმლაყის საშუალო სკოლის მოსწავლემ ვ. დათუაშვილმა, გოგონებში — ბ. სურმაევამ (გურჯაანის რკინიგზის საშუალო სკოლა).

ი. ოდიშელიძე.

რაკეტინი ცურიტინიდ

ლაგოდეხი

ორ კვირას გაგრძელდა სსრ კავშირის კონსტიტუციის დღისადმი მიძღვნილი შეჯიბრება ფეხბურთელთა გუნდებს შორის. ფინალში მონაწილეობის უფლება მოიპოვეს „ზვეზდამ“ და „სპარტაკმა“. ანგარიშით 5:2 გაიმარჯვა „ზვეზდამ“.

ი. ჯავახიშვილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

—რევანში არ შედგა,—

სინანულით გვითხრა პოლონელი რეგბისტების მწვრთნელმა ი. სოკოლოვსკიმ ჩვენი დედაქალაქისა და ვარშავის ნაკრები გუნდების განმეორებითი მატჩის შემდეგ, როცა ვთხოვეთ „ლელოს“ მკითხველებისთვის თავისი აზრი გაეზიარებინა.

— რა დაგიმალოთ, საქართველოს რეგბისტებთან შეხვედრებში ბედი არ გვწყალობს. ჩვენი ნაკრების აქტივშია გამარჯვება უნგრეთის, ჩეხოსლოვაკიის, საფრანგეთის უძლიერეს გუნდებთან, თქვენს სპორტსმენებს კი ვერაფერი მოვუხერხეთ. საქართველოს რეგბისტები ორჯერ გვეწვიენენ, ჩვენც აი, მეორე საპასუხო ვიზიტით ჩამოვედით, ერთმანეთს თითქმის ათჯერ შევხვდით და მხოლოდ ერთხელ გავიმარჯვეთ, ისიც წლეულს, როცა თბილისის გუნდმა ვარშავაში პოლონეთის ნაკრებთან მინიმალური ანგარიშით (6:8) წააგო. მანამდე, ჩვეხი სტუმრების წინააღმდეგ ჰოლონეთის ხუთეულის ჩემპიონმა — ვარშავის „ისკრამ“ ითამაშა და დამარცხდა. თოვლიანი ამინდის მიუხედავად, ქართველებმა ამ მატჩში შესანიშნავი კლასი გამოავლინეს. ისე უტევდნენ მასპინძლებს, რომ ამასუნთქვის საშუალებასაც არ აძლევდნენ. შესანიშნავი დაცვის მიუხედავად, „ისკრამ“ მაინც წააგო — 0:8.

— რას გვეტყვით თბილისში გამართული ორი საპასუხო მატჩის შედეგებზე, მეტოქეთა თამაშის სტილზე, მათ ფიზიკურ და ტექნიკურ მომზადებაზე?

— გამოგიტყდებით: განსხვავებული გვქონდა „უხერხულ“ მეტოქესთან რევანში სწორედ მის მინდორზე აგვეღო, მაგრამ, როგორც ხედავთ, ყოველივე ამათ გამოდგა. რაც შეეხება პოლონეთისა და საქართველოს რეგბისტების თამაშის სტილს, გულახდილად გეტყვით, ძალზე განსხვავებულია. რეგბი საქართველოშიც და პოლონეთშიც შედარებით ახალი სახეობაა, მაგრამ ევროპის გუნდებთან საერთაშორისო შეხვედრების წყალობით ჩვენებმა მალე აითვისეს ზოგიერთი მისი საიდუმლოება, განსაკუთრებით, მთელი ფრონტით შეტევა, რასაც ალბათ თბილისელი მაყურებელიც კარგად შეამჩნევდა. საკმარისი იყო ვარშაველებს ბურთი ცენტრში მიეღოთ, რომ ორივე ფრთა მზად იყო იერიშისთვის, რის მოგერიებასაც თბილისელები დიდი ჯაფის შემდეგ ახერხებდნენ. ძალისმიერი ილეთებით მეტოქენი ერთმანეთს არ ჩამორჩებიან. ოღონდ ეგ არის, ზოგჯერ ეს ილეთები უხეშობაში გადადის, რაც თამაშის სანახაობრივ მხარეს აფუჭებს.

მასპინძელთა გუნდში ერთი უპირატესობა შევნიშნე: ესაა სხარტი, სწრაფად მორბენალი რეგბისტები ფლანგებზე და ცენტრში. მაგალითად, თბილისის „ლოკომოტივის“ მოთამაშე ხარშილაძე შესანიშნავი დრიბლიორია. მან სხეულის ცრუ მოძრაობით რამდენიმე მეტოქე ისე მოატყუა, რომ ვერც კი მიხვდნენ, თბილისელი საბოლოოდ საით აპირებდა გასვლას. მეორე მატჩში სწორედ ხარშილაძის დამსახურება იყო თბილისელთა რამდენიმე კომბინაცია. აქვე აღვნიშნავ: ხარშილაძე ფიზიკურად მზად არ იყო ამ მატჩისთვის, ტემპს ვერ უძლებდა. იგი იძულებული იყო ბურთი პარტნიორებისთვის გადაეცა, თუმცა თვითონაც შეეძლო მიეტანა მეტოქის ჩასათვლელ მოედანზე.

ჩემი აზრით, თბილისის ორივე გუნდი საკმაოდ ძლიერია, თვითეულს თამაშის საკუთარი ყაიდა აქვს. ვფიქრობ, მათგან შეიძლება შეიქმნას ერთი კოლექტივი, რომელსაც სსრ კავშირის პირველობებში გამარჯვების ყველა შანსი ექნება.

ვსარგებლობ შემთხვევით და მსურს თქვენი გაზეთის საშუალებით პოლონელი რეგბისტების სახელით ჩვენს მასპინძლებს მადლობა ვუძღვნა ესოდენ გულთბილი და მეგობრული მიღებისთვის.

* * *

ახლა გაგაცნობთ თბილისში გამართული ორი მატჩის ტექნიკურ ანგარიშს. ვარშავის ნაკრების წინააღმდეგ პირველად „დინამოს“ გუნდი თამაშობდა თბილისის ნაკრების სახელით, მატჩს კი სჯიდა საქართველოს რეგბის ფედერაციის თავმჯდომარის მოადგილე, რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯი გ. მრელაშვილი.

მასპინძლები თავგამოდებით თამაშობდნენ და პირველივე ტაიმში საგრძნობლად დაწინაურდნენ — მათ 11 ქულა მოიპოვეს, პოლონელებმა — ვერც ერთი. მეორე ტაიმში ძალები თითქოს გათანაბრდა. შეხვედრის საბოლოო ანგარიშია 16:3.

გუშინწინ „დინამოს“ სტადიონზე გამართულ განმეორებით მატჩში ქალაქის ნაკრების სახელით გამოვიდა სსრ კავშირის წლევანდელი ჩემპიონატის III პრიზიორი — თბილისის „ლოკომოტივი“. ამჯერად თამაშს სჯიდა რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯი ა. გვიაზდა (პოლონეთი).

შეხვედრა მეტად დაძაბული გამოდგა. შუა ტაიმამდე თამაში ცენტრში მიმდინარეობდა. პოლონელთა არც ერთ ცდას, — ხელთ ეგდოთ ინიციატივა, შედეგი არ მოჰყოლია. მასპინძლები ფხიზლად დარაჯობდნენ მეტოქეს და წინ წასვლის საშუალებას არ აძლევდნენ. შუა ტაიმში პოლონელებმა მარჯვენა ფლანგი უმეთვალყურეოდ დატოვეს, რაც თბილისელებმა კარგად გამოიყენეს და ბურთი სტუმრების ჩათვლის მოედანზე დადეს. იქვე კარგად შეასრულეს რეალიზაციაც — 5:0, მაგრამ ორი წუთის შემდეგ პოლონელმა ხალადუსმა ზუსტად დაარტყა საჯარიმო — 3:5.

49-ე წუთზე ხაჰაპურიძემ თითქმის ცენტრიდან არეკნით გაიტანა გოლი, რაც რეგბიში იშვიათად ხდება. თბილისელები ახლა ისევ 5 ქულით დაწინაურდნენ, მაგრამ მალე დაცვაში შეცდნენ და პოლონელებმა ბურთი მასპინძელთა ჩათვლის მოედანზე დადეს — 6:8.

თბილისელებისთვის ეს იყო თამაშში გარდატეხის შეტანის ნიშანი. ტემპს უმატეს და მთელი გუნდის, განსაკუთრებით, ხარშილაძის, ხაჰაპურიძის, კაპანაძისა და კვინიხიძის კარგი თამაშით, კიდევ 8 ქულა მოიპოვეს. შეხვედრის საბოლოო ანგარიშია 16:6 თბილისელთა სასარგებლოდ.

მატჩის შემდეგ „ლოკომოტივის“ მწვრთნელს ნ. ყიფიანს ვკითხეთ, რა იყო მიზეზი, რომ პირველ ტაიმში ბიჭები შედარებით დუნედ თამაშობდნენ.

— მოუმზადებლობა. სეზონი კარგა ხანია დავამთავრეთ და რაკი მატჩები არ გვქონდა დაგეგმილი, აღარც ვვარჯიშობდით. მაგრამ კმაყოფილი ვარ, რომ ჩვენებმა ძლიერი მეტოქე დაამარცხეს. ამ შეხვედრამ ცხადყო ჩვენი გუნდის ძალა. გაისად ვეცდებით კიდევ უფრო მომზადებული გამოვიდეთ საკავშირო სარბიელზე.

ო. გელაშვილი.

* * *

სურათზე: ვარშავისა და თბილისის ნაკრები გუნდების მეორე შეხვედრის მომენტი.

ფოტო მ. დათიკაშვილისა.

კორჩნოი, სპასკი, ლარსენი, პეტროსიანი...

მალიორკა, 16 დეკემბერი. ლენინგრადელი დიდოსტატი კორჩნოი ბოლო ტურში უკვე აქ გამართული საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირის გამარჯვებულის სახელით მიუჯდა სათამაშო მაგიდას — მე-17 სვლაზე იგი ყაიმზე შეუთანხმდა კალვოს.

კორჩნოის უახლოესმა მდევრებმა გაიმარჯვეს: სპასკიმ 28-ე სვლაზე ფარ-ხმალი დააყრევინა ვესტერინენს, ხოლო ლარსენმა — 37-ე სვლაზე — მატანოვიჩს. პეტროსიანმა მე-15 სვლაზე ყაიმით დასრულა პარტია ტორანთან.

ამრიგად, პირველი პრიზი მოიხვეჭა ვ. კორჩნოიმ — 14 ქულა. 13-13 ქულით II-III ადგილები გაიყვეს მოსკოველმა ბ. სპასკიმ და დანიელმა ბ. ლარსენმა. IV ადგილზეა მსოფლიო ჩემპიონი ტ. პეტროსიანი — 11.5 ქულა.

მომდევნო ადგილებზე არიან: ხ. გლიგორიჩი—10,5, ბ. ივკოვი (ორივე—იუგოსლავია) — 10, ა. ბენკო (აშშ) — 9.5, ა. პომარი (ესპანეთი) — 9, ფ. გეორგიუ (რუმინეთი) — 8,5, ა. მატანოვიჩი (იუგოსლავია) — 8, ჰ. ლემანი (გფრ) — 7, ა. მედინა (ესპანეთი) — 6,5, დ. ბირნი (აშშ) და რ. ტორანი (ესპანეთი) — 6-6, ხ.-დ. კორალი და ფ. ვიზიე (ორივე — ესპანეთი) — 5,5-5,5, ჰ. ვესტერინენი (ფინეთი) — 5, რ. კალვო (ესპანეთი) — 4,5.

ალა კუშნირმა ყველა პარტია წააგო

რიგა, 15 დეკემბერი. სსრ კავშირის მოჭადრაკეთა გუნდურ პირველობაში 4 ტურის შემდეგ ლიდერობენ: „ბურევესტნიკი“, შეიარაღებული ძალები და „ავანგარდი“ — 23-23 ქულა.

„ბურევესტნიკ“ — „ყალგირისის“ მატჩში (ჯერჯერობით ანგარიშია 3.5:1.5) ვ. სმხსლოვმა მოსაგები პარტია წააგო კ. კაუნასთან. რთულ მდგომარეობაში გადაიდო ლ. პოლუგაევსკი—ვ. მიკენასის შეხვედრა.

„სპარტაკ“ — „კალევის“ მატჩში 10 პარტიიდან 6 ყაიმით დამთავრდა. მხოლოდ ორ პარტიაში მოგებამ მოუტანა წარმატება სპარტაკელებს — 5:3.

შეიარაღებულ ძალთა გუნდი დიდი უპირატესობით (5,5:1,5) უგებს „ტრუდს“, ხოლო „ავანგარდი“ — „ლოკომოტივს“ — 6:2. პირველ დაფაზე ე. გელერმა მოუგო ლ. შამკოვიჩს („ტრუდი“).

მსოფლიოს ექს-ჩემპიონმა მ. ტალმა („დინუგავა“) პირველი გამარჯვება იზეიმა პარტიაში ა. ხერმლინთან („იიუდი“), ხოლო ი. ზაიცევთან („ლოკომოტივი“) თავი დამარცხებულად სცნო. დ. ბრონშტეინი („დინამო“) დამარცხდა ახალგაზრდა ოსტატ ი. მოსიონეიკთან („მოლდოვა“).

ქალთა შეჯიბრებაში ლიდერობს ო. ანდრეევა („ავანგარდი“) — 3,5 ქულა 4-დან. ტემპს უმატა მსოფლიო ჩემპიონმა ნ. გაფრინდაშვილმა — 3 ქულა 4-დან. მის მომავალ მეტოქე ა. კუშნირს („ტრუდი“) კი ჯერ ნახევარი ქულაც არა აქვს: მან ოთხივე შეხვედრა წააგო, მათ შორის, მსოფლიო ჩემპიონთან.

ზედიზედ მესამე წელია

მოსკოვი, 15 დეკემბერი. „შახტიორის“ კორტებზე დამთავრდა სახელგანთქმული საბჭოთა ჩოგბურთელის ზ. ზიგმუნდის მემორიალი. გუნდურ შეჯიბრებაში ყველას აჯობეს მოსკოვის წარმომადგენლებმა: ვაჟთა შორის — „სპარტაკმა“, ქალებში — „დინამოს“ მეორე ნაკრებმა.

ზიგმუნდის თანაკლუბელებმა — სპარტაკელებმა ზედიზედ მესამე წელია მოიგეს ეს პრიზი: ფინალში ამჯერად „დინამოს“ ახალგაზრდული გუნდი დაამარცხეს.

ქალთა შორის გამარჯვებულებმა ფინალში სძლიეს ალმა-ათის ნაკრებს.

შერეულ წყვილთა თანრიგში ს. ლიხაჩოვმა და მ. ჩუვირინამ ანგარიშით 6:3, 6:2 ფარ-ხმალი დააყრევინეს ა. ვოლკოვსა და ე. ოზოპაიტისს.

საუკეთესო მეწყვილის პრიზი (ზიგმუნდი ხომ ბრწყინვალე პარტნიორი იყო!) დაისაკუთრეს დინამოელებმა — მოსკოველმა ჩუვირინამ და კიეველმა რ. სივოხინმა.

ტურნირმა უკვე საკმაო პოპულარობას მიაღწია: ამჯერად აქ შეიკრიბნენ 12 ქალაქის 31 გუნდის ჩოგბურთელები.

ს. სარხოიანს გადალი არ ჰყავდა

ირანის მაგიდის ჩოგბურთელთა სტუმრობა ჩვენში საინტერესო სპორტულ მოვლენად იქცა. მართალია, ჩვენი სტუმრები დიდი საერთაშორისო ავტორიტეტით არ სარგებლობენ, მაგრამ სამატჩო შეხვედრების მდიდარი გამოცდილება აქვთ.

პირველ დღეს გაიმართა ამ ორი ქვეყნის ნაკრებთა გუნდური შეჯიბრება. კოლექტივები 2-2 შემადგენლობით ასპარეზობდნენ. ვაჟთა ტურნირში თვითეული გუნდის ყოველი წევრი თავის ყველა მეტოქეს ხვდებოდა.

სსრ კავშირის აბსოლუტურმა ჩემპიონმა ს. სარხოიანმა ყველა მეტოქე დაამარცხა, თ. რამაზაშვილმა ორი შეხვედრა მოიგო, ხოლო ვ. გორგიშელმა სამივე შეხვედრა წააგო. საბოლოო ჯამში გამარჯვება მასპინძლებს დარჩათ — 5:4.

უფრო იოლად სძლიეს სტუმრებს ქალებმა: ს. პარფინიდიმ ორივე შეხვედრა მოიგო, ა. სუჯაშვილმა კი ერთი წააგო და ერთიც მოიგო. მათ წყვილთა ასპარეზობაში დაამარცხეს ა. ნასირი და ფ. შემრანი. შეხვედრის საბოლოო ანგარიში გახდა 4:1 ჩვენი რესპუბლიკის სპორტსმენთა სასარგებლოდ.

ამავე ქვეყნების II გუნდების ასპარეზობაში ქალებმა ზუსტად იმავე ანგარიშით დაამარცხეს მეტოქეები, ხოლო ვაჟებში სტუმრების უპირატესობა აშკარა იყო — 7:2.

მეორე დღეს მოეწყო ქალთა და ვაჟთა პირადი შეჯიბრება ოლიმპიური სისტემით. ქალთა ტურნირის ნახევარფინალში უპირატესობა მასპინძელთა მხარეზე იყო. ს ორდინიანმა დაამარცხა პარფინიდი, ხოლო გ. ლევინამ—სუჯაშვილი. ფინალში საინტერესო ბრძოლის შემდეგ ოთხ პარტიაში გაიმარჯვა ორდინიანმა. III ადგილისთვის ბრძოლაში პარფინიდიმ მოუგო სუჯაშვილს — 2:0.

ვაჟთა შეჯიბრების ნახევარფინალებში სამი ირანელი და სარხოიანი გავიდნენ. ბრძოლის დაწყების წინ ირანელებმა მოულოდნელად მოითხოვეს, შეჯიბრება წრიული სისტემით დამთავრდესო. მათ იმედი ჰქონდათ, რომ სარხოიანი სამ კაცთან შეხვედრაში დაიღლებოდა (მით უმეტეს, რომ იგი ნატკენი ხელით იბრძოდა) და საბოლოოდ გამარჯვება რომელიმე ირანელს დარჩებოდა. მაგრამ სტუმრების იმედი არ გამართლდა: სარხოიანმა ბრწყინვალედ ითამაშა და სამივე მეტოქე — უ. ბოზორგ-ზადე, ა. ექთეშან-ზადე, რ. თეჰრანი ერთნაირი ანგარიშით (2:0) დაამარცხა.

სხვათა შორის, სარხოიანი შეჯიბრების ერთადერთი მონაწილეა, რომელმაც მხოლოდ ერთი ხელი წააგო.

ა. ცეხანელი.

* * *

სურათზე: თეირანის უნივერსიტეტის სტუდენტი, ირანის მაგიდის ჩოგბურთელთა ნაკრების წევრი რ. დარბინი (მარცხნივ) და ს. სარხოიანი თვალს ადევნებენ შეჯიბრებას.

ფოტო ა. სააკოვისა.

ᲡᲐᲔᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲤᲝᲡᲢᲘᲓᲐᲜ

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲪᲓᲐ

ამ დღეებში სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრმა ფორსტერმა მოითხოვა „დაიწყოს ბრძოლა, რათა სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა ოლიმპიურ თამაშებში დაუშვან“.

ეს მხოლოდ პრემიერ-რასისტის აზრი რომ იყოს, ლაპარაკადაც არ ეღირებოდა. მაგრამ საქმე ისაა, რომ რასისტებს ბევრი მომხრე ჰყავთ თვით საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტშიც. რასიზმის ერთ-ერთი შეუპოვარი აპოლოგეტია, მაგალითად, ლორდ კილენინი, ირლანდიის წარმომადგენელი საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტში, ირლანდიის ოლიმპიური საბჭოს პრეზიდენტი.

როგორც ცნობილია, 1963 წლის ოქტომბერში საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის სესიაზე ბადენ-ბადენში შემდეგი გადაწყვეტილება მიიღეს: რამდენადაც სამხრეთ აფრიკა საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის წესდებას არ იცავს, ამ ქვეყნის ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტს ეკრძალება ტოკიოს თამაშებში მონაწილეობა. თეერანის სესიაზე რასისტებმა გადაწყვეტეს, რადაც უნდა დასჯდომოდათ ძალიან მექსიკის ოლიმპიადაში მონაწილეობისთვის. საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტმა, ჩიკაგოელმა მილიონერმა ე. ბრენდეჯმა სწორედ მაშინ გამოაცხადა სპეციალური კომისიის შექმნა, რომელსაც უნდა შეესწავლა მდგომარეობა სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში. კომისიას ხელმძღვანელობდა ბრენდეჯის პირადი წარმომადგენელი ლორდ კილენინი.

კომისია სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის სხვადასხვა ქალაქში იყო და საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის გრენობლის სესიაზე (1968 წლის თებერვალი) ვრცელი მოხსენება წარადგინა. ამ მოხსენებაში ფარულად გატარებული იყო აზრი, თითქოს სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკას უეჭველად უნდა მიეღო მონაწილეობა ოლიმპიადაში.

რაც შეეხება თავად კილენინს, იგი აშკარად უჭერდა მხარს ამ აზრს. მისმა სიტყვებმა გარკვეული როლი შეასრულეს იმ სამარცხვინო გადაწყვეტილებაში, რომელიც სოკმა სპორტული საზოგადოებრიობის გავლენით თითქმის მეხიკოს თამაშების დაწყების წინ შეცვალა.

და აი, ახლა ლორდ კილენინმა კვლავ გაიხსენა თავისი მოხსენება. მას მიაჩნია, რომ კომისიის ანგარიში ფართოდ უნდა გავრცელდეს, რომ: „საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის წევრებმა 1972 წლის თამაშებისთვის უფრო დიდი სიმტკიცე უნდა გამოიჩინონ, ვიდრე მექსიკის ოლიმპიადისთვის გამოიჩინეს. მიუხედავად პროტესტებისა, — მოუწოდებს ლორდი, — სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკას უნდა მივაკუთვნოთ თავისი ადგილი ოლიმპიურ თამაშებში“.

მაშ ასე, კილენინმა მოხსენება მოიგონა. რა გაეწყობა, ჩვენც მოვაგონოთ მას რამდენიმე ადგილი ამ საბუთიდან. როცა კომისია პრეტორიაში იყო, № 1 რასისტმა, სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის პრეზიდენტმა ფორსტერმა მისი თავმჯდომარის ნახვის სურვილი გამოთქვა. ლორდი მყისვე გადაფრინდა იოჰანესბურგში. ახლა კი მოვიყვანთ ადგილებს პირდაპირ მოხსენების სტენოგრამიდან:

„კომისიის თავმჯდომარემ პრემიერ-მინისტრს აუხსნა, რომ იგი ისწრაფვის ოფიციალურად მოიწონოს მექსიკის 1968 წლის ოლიმპიურ თამაშებში სამხრეთ აფრიკის მონაწილეობის გეგმა“.

საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა კომისიას დაავალა გამოერკვია, არსებობდა თუ არა რასობრივი დისკრიმინაცია სამხრეთ აფრიკის სპორტში, კომისიის თავმჯდომარე კი თურმე სულ სხვას ისახავდა მიზნად.

კომისია აღტაცებული დარჩა იმით, რომ რასისტებმა გადაწყვიტეს ოლიმპიური თამაშებისთვის შეექმნათ ერთი გუნდი (ფორსტერმა ლორდთან საუბარში ხაზგასმით აღნიშნა: „ვილაპარაკოთ არა გაერთიანებულ, არამედ ერთ გუნდზე. ასე უფრო სწორი იქნება“). ეს არცაა გასაკვირი. კილენინის მოხსენებაში რასისტული აზრები უკომენტაროდ იყო მოტანილი.

სხვათა შორის, ამ დღეებში ფორსტერმა გაიმეორა იგივე, რაც კილენინს უთხრა: „ჩვენი ქვეყნის საზღვრებში, — ქადაგებდა № 1 რასისტი, — თეთრკანიანი და ფერადკანიანი სპორტსმენები შეჯიბრებებში ერთად არ უნდა გამოდიოდნენ არც ერთმანეთის და არც სხვა მეტოქეთა წინააღმდეგ. ეს წესი ჩამოსულ სპორტსმენებსაც ეხებათ“. ფორსტერმა აშკარად განაცხადა, რომ „თუ აუცილებელი გახდა“, მიღებული იქნება კანონი სპორტში აპარტეიდის შესახებ.

როგორღა შეიძლება ლაპარაკი სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტში ქვეყნის ძალიან ცოტა მოსახლეობის არც ერთი წარმომადგენელი არ არის. ამ ქვეყანაში — არ შეიძლება ტარდებოდეს შერეული შესარჩევი შეჯიბრებები ოლიმპიური ნაკრების დაკომპლექტებისთვის. ოლიმპიადიდან დაბრუნებულ თეთრკანიან და ფერადკანიან სპორტსმენებს არ ეკრძალათ შეხვედრებლობა ერთად გამოვიდნენ შეჯიბრებებში. მართალია, სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის თეთრკანიან სპორტსმენთა რამდენიმე ფედერაციამ მსოფლიო საზოგადოებრიობის თვალის ასახვევად ფერადკანიან სპორტსმენთა ორგანიზაციებიც შეიყვანა თავის შემადგენლობაში, მაგრამ ეს რასობრივ დისკრიმინაციას როდი ანელებს.

„მას შემდეგ, რაც მეხიკოს ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობა ვერ მოახერხეს, სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის ოფიციალურმა პირებმა თანასწორობის ყველა მლიქვნელური ნიღაბი მოიშორეს და აპარტეიდი სპორტში კიდევ უფრო გამწვავდა. მაგრამ არ უნდა მოვტყუვდეთ: მიუნჰენისთვის რასისტები კიდევ უფრო ოსტატურად ნაკეთებ ნიღბებს იმარაგებენ“.

ეს სიტყვები სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის რასობრივი ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტს დ. ბრუტუსს ეკუთვნის. ბრუტუსი ამბობს, რომ საჭიროა სიფხიზლე რასისტებისა და მათი მფარველების სახიფათო მანევრების თავიდან ასაცილებლად. ასეთივე სიფხიზლისკენ მოუწოდებს საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის კომისიის მოხსენებასაც, იმის მიუხედავად, სურს თუ არა ეს ლორდ კილენინს.

Ა. ᲑᲣᲠᲐᲙᲝᲕᲘ.

ᲐᲠᲐ ᲜᲔᲙᲔᲠᲩᲮᲚᲘᲡᲐ...

კანადის ქალაქ ტორონტოდან სენსაციური ცნობა მოვიდა. „ასოშიეიტედ პრესის“ სააგენტოს კორესპონდენტი გადმოგვცემს: „კანადის სპორტის ხელმძღვანელები სასწრაფო ზომებს მიმართავენ, რათა მომავალ მსოფლიო ჩემპიონატებში ეს ქვეყანა პროფესიონალთა გუნდით იყოს წარმოდგენილი. ეს გუნდი შეიძლება იყოს ან „ტორონტო მეიპლ ლიფსი“ ან „მონრეალ კანადიენსი“ (რა თქმა უნდა, იმ შემთხვევაში, თუ ყინულის ჰოკეის საერთაშორისო ლიგა თანასმა იქნება შეჯიბრებაში პროფესიონალთა მონაწილეობისა). ეს ყველაფერი ითქვა ჰოკეისთან დაკავშირებულ და ამ საქმეში კარგად გათვიცნობიერებულ წრეებში“.

მაგრამ კორესპონდენტი ამ წრეებში შემთხვევით როდი მოხვდა. ეს იყო მას შემდეგ, რაც კანადის სამყვარულო ჰოკეის ასოციაციის პრეზიდენტმა ე. დაუსონმა საგანგებო განცხადება გააკეთა პრესისთვის. „მე შემიძლია უახლოეს მომავალში წარმოვიდგინო ის დღე, — თქვა დაუსონმა, — როცა მსოფლიო ჩემპიონატებში კანადის ღირსებას ან „ტორონტო მეიპლ ლიფსი“ დაიცავს, ან „მონრეალ კანადიენსი“. დღემდე ეს ეკისრებოდათ მოყვარულებს, ან ყოფილ პროფესიონალებს, ვინაიდან ყინულის ჰოკეის საერთაშორისო ლიგა ამ ტურნირებში პროფესიონალთა მონაწილეობას კრძალავს. დადგა დ. ო. რომ ეს გადაწყვეტილება შეიცვალოს. ასე სურს კანადის საზოგადოებრიობას. როგორც ცნობილია, ასე სურთ ჰოკეის მოყვარულებს ევროპაშიც, განსაკუთრებით კი რუსეთში, სადაც უნდათ დაამტკიცონ თავიანთი უპირატესობა კანადის საუკეთესო ჰოკეისტებთან შედარებით“.

იმაზე, რომ მოყვარულთა და პროფესიონალთა მატჩები შესაძლებელია, ჰოკეის სამყაროში კარგა ხანია ლაპარაკობენ. მე, რასაკვირველია, არაფერი ვიცოდი დაუსონის ზემოხსენებული განცხადების შესახებ, მაგრამ მოსკოვის საერთაშორისო ტურნირის დღეებში კანადის ნაკრების მწვრთნელს ჯ. მაკლეოდს ვკითხე: „თქვენი აზრით, როდის შეიძლება შედგეს საბჭოთა ჰოკეისტების შეხვედრა კანადელ პროფესიონალებთან?“

— უახლოეს ხანში ეს არ მოხდება, — უყოყმანოდ მიპასუხა მაკლეოდმა.— პროფესიონალები თქვენთან მატჩებისთვის მილიონებს მოითხოვენ, თქვენ კი ამ ფულის გადახდას არ ისურვებთ. გარდა ამისა, ისინი ძალიან ხშირად თამაშობენ და დროც არა აქვთ სსრ კავშირის ნაკრებთან შეხვედრისთვის.

როგორ შევუთავსოთ ერთმანეთს ეს ორი, ესოდენ განსხვავებული აზრი? სსრ კავშირის ნაკრების ერთ-ერთ მწვრთნელს ა. ტარასოვს ვთხოვე თავისი შეხედულება გამოეთქვა ტორონტოდან მიღებული ცნობისა და მაკლეოდის პასუხის შესახებ.

— ხედავთ, რა სწრაფად იცვლება ყველაფერი? — გაიღიმა ტარასოვმა. — როგორც ჩანს, ახლა დროსაც გამოძებნიან და აღარც მილიონები იქნება საჭირო (მოყვარულთა ჩემპიონატებში მონაწილეობისთვის ფულს არ იძლევიან). კანადელ სპორტის მოყვარულებს ალბათ კვლავ ძალიან დასწყვიტა გული თავიანთი ნაკრების გამოსვლამ მოსკოვში.

კანადელებმა მართლაც ვერ ითამაშეს კარგად. ნათ წააგეს მსოფლიო ჩემპიონებთან, სამჯერ დამარცხდნენ სსრ კავშირის მეორე ნაკრებთან. მოგაგონებთ, რომ 1963 წლიდან მოკიდებული, კანადელები ყველა მსოფლიო ჩემპიონატში მარცხდებიან საბჭოთა ნაკრებთან. სწორედ ამიტომ გადაწყვიტეს „ნეკერჩხლის ფოთლის ქვეყნის“ სამოყვარულო ჰოკეის ხელმძღვანელებმა დაეთმოთ პროფესიონალთა კლუბებისთვის. არ სურთ დაკარგონ ჰოკეის სამშობლოს პრესტიჟი.

— მე ვიცოდი, — განაგრძობს ა. ტარასოვი, — რომ ეს ადრე თუ გვიან მოხდებოდა. ჩვენ მზად ვართ ბრძოლისთვის. იმ შემთხვევაშიც კი, თუ თავიდან ყველაფერი ჩვენთვის სასურველად არ წარმართა, ჰოკეი მხოლოდ მოიგებს ამ შეხვედრებით. მე მწამს ჩვენი ბიჭების, მჯერა მათი წარმატება.

მსოფლიოს რვაგზის ჩემპიონების მოძღვარი სწორად ხსნის კანადის ჰოკეისტთა მესვეურების ამ ერთი შეხედვით მოულოდნელი შემობრუნების მიზეზს. კაცმა რომ თქვას, ისინი არც მალავენ ამას. დაუსონის სიტყვები იმის თაობაზე, თითქოს „პროფესიონალებთან შეხვედრას დიდი ხანია ელიან ევროპაში, განსაკუთრებით კი რუსეთში“, გახლავთ მხოლოდ ლეღვის ფოთოლი, რომლითაც პრეზიდენტს სურს თავისი ქვეყნის სამოყვარულო ჰოკეის კრიზისი დაფაროს. მაგრამ თვით სურვილი პროფესიული გუნდების სამოყვარულო ჩემპიონატში მონაწილეობისა საბჭოთა ჰოკეისტების ოსტატობის აღიარებაა.

Ზ. ᲓᲖᲝᲠᲪᲝᲕᲘ.
(საკდესის კორ.).

ᲩᲔᲮᲝᲡᲚᲝᲕᲐᲙᲘᲔᲚᲗᲐ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲐ

ᲡᲔᲜᲢ-ᲛᲝᲠᲘᲪᲘ, 16 დეკემბერი. ჩეხოსლოვაკიის მოთხილამურეებმა გამარჯვეს შვეიცარიის ამ სამთო კურორტზე გამართულ ტრადიციულ საერთაშორისო შეჯიბრებაში — ესტაფეტაში 3×5 კმ-ზე მათ 29 მონაწილეს შორის ყველაზე კარგი დრო აჩვენეს — 59.31. II ადგილზე არიან შვეიცარიელები — 59.46, III — გფრ-ის წარმომადგენლები — ზუსტად 1 საათი. საუკეთესო დრო ეტაპზე აჩვენა შვეიცარიელმა ჯ. ჰაუზმა — 19.08.

• KORANA • ᲤᲣᲢᲑᲝᲚ • ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘ • LABdARUgAS •

ᲐᲡᲔ ᲤᲘᲥᲠᲝᲑᲡ ᲐᲚᲑᲔᲠᲢᲘ

ᲑᲣᲓᲐ�პᲔᲨᲢᲘ გამართულ პრეს-კონფერენციაზე ცნობილმა ფეხბურთელმა ფ. ალბერტმა განაცხადა, რომ ამასწინანდელ საუბრელეო მატჩში ბრაზილიის ნაკრებმა ძალზე უფერული შთაბეჭდილება დატოვა მასზე და რომ ამ გუნდს არა აქვს არავითარი შანსი დაიბრუნოს მსოფლიო ჩემპიონობა მეხიკოში. „არც იმას აქვს დიდი მნიშვნელობა, — დასძინა უნგრეთის ნაკრების კაპიტანმა, — ითამაშებს პელე თუ არა“.

ალბერტმა ხაზი გაუსვა, რომ ბრაზილიელებმა შესანიშნავი სტუმართმოყვარეობა გამოიჩინეს მსოფლიოს ნაკრების მიმართ, მაგრამ „მარაკანას“ მინდორი უსწორმასწორო და სათამაშოდ ერთობ ძნელი აღმოჩნდა.

• • •



სურათზე: ფ. ალბერტი.

„ᲬᲧᲐᲚᲡ ᲙᲘ ᲐᲠᲐ, ᲦᲕᲘᲜᲝᲡ ᲕᲡᲕᲐᲛᲗ“

ᲪᲜᲝᲑᲘᲚ ფრანგულ კლუბ „ბორდოს“ ამას წინათ თავისებური წინადადებით მიმართა მინერალური წყლების ფირმის პატრონმა, ცნობილმა საქმოსანმა ვიტელმა. მან იკისრა „ბორდოს“ დაფინანსება და ცალკეულ მოთამაშეთა ხვედრიანად დასაჩუქრებაც, თუ კლუბის მაისურზე ფირმის რეკლამა იქნებოდა აღბეჭდილი და „ბორდო“ თავის ოფიციალურ მატჩებს ამ ფირმით ჩაატარებდა.

„ბორდომ“, რომლის საქმეები ჩემპიონატში კარგადაა (II ადგილი) და არც მაყურებელი აკლია, უარყო საქმოსნის ასეთი წინადადება. გუნდის მწვრთნელმა ხუმრობით განაცხადა: „რატომ უნდა მივიღოთ ვიტელის წინადადება? ჩვენ წყალს კი არა, ღვინოს ვსვამთ“.

„ᲐᲜᲢᲘᲓᲝᲞᲘᲜᲒᲣᲠᲘ“ ᲒᲐᲓᲐᲬᲧᲕᲔᲢᲘᲚᲔᲑᲐ

ᲓᲝᲞᲘᲜᲒᲘᲡ მიღების უამრავმა შემთხვევამ იტალიის ფეხბურთის ფედერაცია აიძულა გადამწყვეტი ნაბიჯები გადაედგა. ფედერაციის გადაწყვეტილებით ამიერიდან ყოველი მატჩის წინ საქმიმო კომისია შეამოწმებს თვითეული გუნდის 3-3 მოთამაშეს. ეს დადგენილება ვრცელდება I და II ლიგაზე.

ᲛᲔᲜᲘᲙᲔᲚᲘᲡ ᲐᲠ ᲣᲛᲐᲠᲗᲚᲔᲑᲡ

„ᲘᲣᲕᲔᲜᲢᲣᲡᲘᲡ“ მარცხენა გარემარბი ჯ. მენიკელი რამდენიმე წელი იტალიის ეროვნულ ნაკრებში თამაშობდა და დიდი წარმატებითაც. ახლა, მიმომხილველთა აზრით, მენიკელს ყავლი გაუვიდა, თუმცა თავისი გუნდისთვის ჯერ კიდევაა საჭირო. მენიკელის გვარი გაზეთების ფურცლებს არ სცილდება. საქმე ისაა, რომ ამ ფეხბურთელს საუცხოო უნარი აქვს წინასწარ გამოიცნოს იტალიის ჩემპიონატის მატჩების შედეგები და ამ მხრივ თითქმის არც ჰყავს ბადალი.

ამას წინათ მენიკელიმ ზუსტად გამოიცნო ჩემპიონატის ერთ-ერთი ტურის თითქმის ყველა შედეგი და ერთადერთი შეცდომა დაუშვა: მოგება უწინასწარმეტყველა თავის კლუბს „კალიარისთან“ (განა სხვანაირად შეეძლო მოქცევა მას, როგორც „იუვენტუსს“ მოთამაშეს?), პირიქით კი მოხდა. ეს შეცდომა მენიკელის ძალიან ძვირად დაუჯდა — ერთ ქულად, რომელიც მას დააკლდა 100 მილიონი ლირის მოგებამდე!

ᲛᲝᲙᲚᲔᲓ

- **ᲠᲘᲝ-ᲓᲔ-ᲟᲐᲜᲔᲘᲠᲝ.** ბრაზილიელმა ექიმმა ხ. ბრავერმა განაცხადა, რომ მოამზადა აბი, რომელიც ფეხბურთელს გარანტიას აძლევს წონის მომატების წინააღმდეგ.
- **ᲑᲣᲔᲜᲝᲡ-ᲐᲘᲠᲔᲡᲘ.** არგენტინის ფეხბურთის ფედერაციამ გადაწყვიტა ეროვნულ ნაკრებს სათავეში ჩაუყენოს „ესტუდიანტესის“ მწვრთნელი ო. ზუბელდია. ამ გუნდმა ამას წინათ საკონტინენტთაშორისო თასი მოიგო.
- **ᲙᲝᲞᲔᲜᲰᲐᲒᲔᲜᲘ.** კიდევ ერთი წამყვანი ფეხბურთელი დაკარგა დანიის ნაკრებმა: მისმა მარცხენა გარემარბმა ლეფევრმა ხელი მოაწერა კონტრაქტს „ეინდჰოვენთან“ (ჰოლანდია).

რედაქტორი მ. ᲙᲐᲙᲐᲑᲐᲫᲔ.

საქართველოს ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტი, კალათბურთის რესპუბლიკური ფედერაცია და ნებაყოფლობითი სპორტსაზოგადოებები იუწყებიან საქართველოს სსრ ფიზკულტურისა და სპორტის დამსახურებული მოღვაწის ს. თორთლაძის დედის
ალექსანდრა (საშა)
ნიკოლოზის ასულ
კეზევაძე-თორთლაძის
გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს. გამოსვენება 21 დეკემბერს, 16 საათზე, ბინიდან: ქუთაისი, ნინოშვილის ქ. № 2.